სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
ხელშეკრულება №57

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას, რომელიც დადებულია გამარტივებული შესყიდვის საშუალებით

ქ. ბათუმი

21 სექტემბერი 2015წ.

ერთის მხრივ, ა(ა)იპ ,,ქ. ბათუმის სოციალური სერვისების სააგენტო" (შემდგომში ,,შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი დირექტორის ბადრი გოგიძის სახით და მეორეს მხრივ, შპს ,,ლაშვარდი" (შემდგომში ,,მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი დირექტორის ფრიდონ მგელაძის სახით, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის შედეგად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1.ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ა(ა)იპ ქ. ბათუმის სოციალური სერვისების სააგენტოს სასადილოებისათვის საგანგებო სიტუაციების დროს გამოსაყენებელი მოწყობილობების და უსაფრთხოების საშუალებების, კერძოდ ცეცხლმაქრების შეძენა/მონტაჟი, რომელიც წარმოდგენილია დანართი N1-ში და წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
1.2. კლასიფიკატორის კოდი: 35100000, 35111300.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1.ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 1650 (ერთიათას ექვსას ორმოცდაათი) ლარს.
2.2.ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1. ანგარიშსწორების ფორმა იქნება: უნაღდო (გადარიცხვა) ეროვნულ ვალუტაში.
3.2.მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს (სოციალურად დაუცველი ფენის ერთჯერადი კვების უზრუნველყოფის პროგრამა) მიღება-ჩაბარების აქტის, ანგარიშ–ფაქტურის ან სასაქონლო ზედნადების საფუძველზე დოკუმენტის შედგენიდან 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის განმავლობაში.

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1.„შემსყიდველი" შესყიდვის ობიექტის მიღებას მოახდენს შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად.
4.2.შესყიდვის ობიექტის (მისი ნაწილის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.
4.3. შემსყიდველის მხრიდან, მოწოდებული საქონლის მიღება-ჩაბარებას განახორციელებს ა(ა)იპ ,,ქ. ბათუმის სოციალური სერვისების სააგენტო"-ს ტექნიკური მენეჯერი - ალექსანდრე ტარიელაძე.

5. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

5.1. საქონლის მიწოდების ადგილად განისაზღვრება შემსყიდველის მისამართი:
1. სასადილო N1 ქ. ბათუმი, ტაბიძის ქ. N2
2. სასადილო N2 ქ. ბათუმი, ლერმონტოვის ქ. N92
3, სასადილო N3 ქ. ბათუმი, კიკვიძის ქ. N7 (ბენზე)
4. სასადილო N4 ქ. ბათუმი, დიდაჭარის პირველი ჩიხი N1 (ხელვაჩაური)
5, სასადილო N5 ქ. ბათუმი, თამარ მეფის გამზირი, მე-3 შესახვევი N2 (მახინჯაური).

5.2.საქონლის მიწოდება/მონტაჟი შემსყიდველისათვის უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 2015 წლის 15 ოქტომბრის ჩათვლით.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:
ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;
ბ) საქონლის მიწოდების დასრულებამდე გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან მისთვის საჭირო დოკუმენტი.

6.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;
6.3.მიმწოდებელი უფლებამოსილია მოთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;
6.4. მიმწოდებელი ვალდებულია:
ა) მიაწოდოს საქონელი სათანადო ხარისხით და სრული მოცულობით, ხელშეკრულების მე-5 მუხლის შესაბამისად.
ბ)გარანტიის მოქმედების ვადაში სრულად უზრუნველყოს ყველა გამოვლენილი ნაკლის აღმოფხვრა დაუყოვნებლივ და ასევე უზრუნველყოს ცეცხლმაქრების შემოწმება და გადამუხტვა შესაბამის პერიოდში.

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინპექტირებას განახორციელებს ა(ა)იპ „ქ. ბათუმის სოციალური სერვისების სააგენტო"-ს ტექნიკური მენეჯერი - ალექსანდრე ტარიელაძე.
7.2. ინსპექტირება გულისხმობს ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე მიწოდებული საქონლის ხარისხის კონტროლს.
7.3. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

8.გარანტია

8.1. შესყიდვის ობიექტის საგარანტიო პერიოდი შეადგენს 2 (ორი) წელს მიღება-ჩაბარების აქტის შედგენიდან.

9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1. ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში შესაძლებელია გამოყენებული იქნეს საჯარიმო სანქციები, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაგვიანებით შესრულებისათვის ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0.5 %-ის ოდენობით.
9.2.საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
9.3. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5 %-ის ოდენობით.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.
10.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
10.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. ფორს-მაჟორი

11.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ანმისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.
11.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

11.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

12. სადაო საკითხების გადაწყვეტა

12.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

12.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

13. ხელშეკრულების ენა

13.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლიარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა. ერთი ეგზემპლიარი გადაეცემა შემსყიდველს, ხოლო ერთი ეგზემპლიარი ინახება მიმწოდებელთან.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 2015 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, გარდა ამ ხელშეკრულების მე-8 მუხლის 8.1. პუნქტისა.

„შემსყიდველი“

ქ.ბათუმი, ჯავახიშვილის ქ.№4

ა(ა)იპ „ქ.ბათუმის სოციალური სერვისების სააგენტო“
სახაზინო კოდი№707767126
საიდენტიფიკაციო კოდი: 445437705
ბანკის კოდი: TRESGE22

დირექტორი
ბადრი გოგიძე

„მიმწოდებელი“

ქ. ბათუმი, ლეონიძის ქ. N6ა/21
599 19 55 41
შპს „ლაშვარდი“
ანგარიშის № GE37BG0000000131808400
საიდენტიფიკაციო კოდი:245619763
მიმღების ბანკი: ს.ს. „საქართველოს ბანკი“
ბანკის კოდი: BAGAGE22

დირექტორი
ფრიდონ მგელაძე

N	დასახელება	ზომის ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი	სულ თანხა
1	ცეცხლმაქრი ფხვნილოვანი 5კგ. (ოპ-5)	ცალი	2	110	220
2	ცეცხლმაქრი ფხვნილოვანი 4კგ. (ოპ-4)	ცალი	6	95	570
3	ცეცხლმაქრი ფხვნილოვანი 6კგ. (ოპ-6)	ცალი	2	105	210
4	ცეცხლმაქრი ფხვნილოვანი 3კგ. CO^2	ცალი	5	130	650
					1650